ფონოგრამების უნებართვო გამრავლებისაგან ფონოგრამების მწარმოებლების დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის (1971წ.)

მოკლე მიმოხილვა

კონვენცია ხელშეკრულების მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას ფონოგრამის ის მწარმოებელი, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ფონოგრამის ასლის დამზადებისაგან მისი თანხმობის გარეშე, ასეთი ასლების იმპორტისაგან, თუ ეს იმპორტი ხორციელდება საჯარო გავრცელების მიზნით და ამ ასლების საჯარო გავრცელებისაგან. "ფონოგრამა" გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ხმოვან ფიქსაციას (ის არ მოიცავს, მაგალითად, ფილმებისა და ვიდეოკასეტების ბგერითი თანხლების ბილიკს) ნებისმიერი ფორმით (დისკზე, ლენტაზე და სხვ.). დაცვა შეიძლება განხორციელდეს საავტორო უფლებების კანონის, ***sui generis*** (მომიჯნავე უფლებების) კანონის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონის ან სისხლის სამართლის კანონის ჩარჩოებში. დაცვის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვრებოდეს მინიმუმ **20** წლით ფონოგრამის პირველი ფიქსაციიდან ან პირველი გამოცემიდან (ეროვნული კანონები უფრო ხშირად **50** წელს ითვალისწინებს).

კონვენციის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს ისმოს სამდივნო.

კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე გაერთიანების, მმართველი ორგანოს დაფუძნებას, ან ბიუჯეტის დაწესებას.

კონვენცია (რომლის სრული ვერსია გამოქვეყნებულია ვებ-საიტზე www.wipo.int/treaties) ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ან სხვა იმ სააგენტოების წევრია, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციების სისტემას მიეკუთვნება. რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების დოკუმენტები უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.